ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1926477

ნომერი: AR1310447

თარიღი : 15.05.2015

გაცემის თარიღი : 02.06.2015

გაცნობის თარიღი : 01.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ენუქიძის , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე კოპტევი პ/ნ 01033003537
- თბილისი ბ.ჭიჭინაძის ქ. კორ. 29"დ" ბ. 42

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.05.2015 წლის #1896305 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს (შემდგომში–სამსახური) 2015 წლის 15 მაისს #AR1310447 განცხადებით მომართა ალექსანდრე კოპტევმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 15.05.2015 წლის

#1896305 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.05.2015 წლის #1896305 გადაწყვეტილებით სამსახურმა დაადასტურა ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ენუქიძის ქუჩა #12, შპს "ოქროს ხელები"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის ღანდშაფტური სამუშაოების განხორციელების - ფილებით მოპირკეთების და ღობის მოწყობის შესაძლებლობა. სამსახური, გადაწყვეტილების მიღებისას, სხვა წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ერთად, დაეყრდნო ამონაწერს საჯარო რეესტიდან #892012060835, თარიღი: 25/10/2012 წ., საკადასტრო კოდი #01.19.22.006.042.
დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს 15.05.2015 წლის #1896305 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას. კერძოდ, სექტორი–დიდუბის ნაცვლად სექტორი–სამგორის დაფიქსირებას.
სამსახურმა დაადგინდა, რომ საჯარო რეესტრიდან 25/10/2012 წლის ამონაწერით #892012060835, #01.19.22.006.042 საკადასტრო ერთეულის მისამართს წარმოადგენს ზონა თბილისი, სექტორი სამგორი, ენუქიძის ქუჩა #12. ამდენად, სამსახურმა ტექნიკური ხარვეზის გასწორება სექტორთან დაკავშირებით საფუძვლიანად მიიჩნია. ამასთანავე, დადგინდა, რომ განმცხადებელი ალექსანდრე კოპტევი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14050724, 13/05/2014), წარმოადგენს #01.19.22.006.042 საკადასტრო ერთეულის მესაკუთრის, შპს „ორქოს ხელები–“ის დირექტორს. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი არის დირექტორი. ამდენად, ალექსანდრე კოპტევი წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი სამსახურის სამსახურის 15.05.2015 წლის #1896305 გადაწყვეტილებაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე აღნიშულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 59–ე მუხლების საფუძველზე,
ვბრძანებ:
1. დაკმაყოფილდეს ალექსანდრე კოპტევის 2015 წლის 15 მაისს #AR1310447 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.05.2015 წლის #1896305 გადაწყვეტილებაში და სექტორი დიდუბის ნაცვლად, დაფიქსირდეს სექტორი სამგორი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.05.2015 წლის #1896305 გადაწყვეტილებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.